ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1342106

ნომერი: AR1229304

თარიღი : 17.06.2014

გაცემის თარიღი : 23.06.2014

გაცნობის თარიღი : 23.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი I ნაკვეთი I;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

06/17/2014წ. #AR1229304 განაცხადთანდაკავშირებით დამატებითიინფორმაციისა და დოკუმენტაციისწარმოსადგენად ვადის განსაზღვრისშესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06/17/2014წ. #AR1229304 განაცხადით მომართა

ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა სამსახურის 03.02.2014წ. #1105004 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 03.02.2014წ. #1105004 ბრძანებით, ქ. თბილისში, (სექტორი საბურთალო), დიდი დიღმის I მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი I, ნაკვეთი I, შპს „ტერა TERRA“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.10.06.014.011), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 04 თებერვლიდან 2015 წლის 04 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 442.3, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 634.66, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3357.87 და საერთო ფართობი (კვ.მ).: 5465.94.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მომართავს შეთანხმებული პროექტის არქიტექტორი და ითხოვს შევიდეს ცვლილება ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 419.22 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 641.34 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3303.91და შესაბამისად საერთო ფართობი (კვ.მ).: 5395.58.
სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და დადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საზაფხულო ფართობის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის და შესაბამისად საერთო ფართობის ციფრობრივი მაჩვენებელი არ შეესაბამება 03.02.2014წ. #1105004 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
შესაბამისად, იმისათვის, რომ წინამდებარე განაცხადის თაობაზე მიღებული იქნას შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა, განმცხადებელმა წარმოდგინოსგეგმები, ყველა შესაცვლელი ფართობის გამოტანითა და ექსპლიკაციების მითითებით, ასევე დეტალური განმარტებითი ბარათი და ყველა შესაცვლელი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც შესაბამისობაში იქნება 03.02.2014წ. #1105004 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებთან.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს გეგმები, ყველა შესაცვლელი ფართობის გამოტანითა და ექსპლიკაციების მითითებით, დეტალური განმარტებითი ბარათი და ყველა შესაცვლელი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც შესაბამისობაში იქნება 03.02.2014წ. #1105004 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებთან.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 06/17/2014წ. #AR1229304 განაცხადი დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.